ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი N11

ზუგდიდი, 25 სექტემბერი 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.
სხდომის დაწყების დრო 10:00 საათი.

დღის წესრიგი

მუხლი 6. ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა;

1. აშშ, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის სადოქტორო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტის **ნინო გვალიას** განცხადების განხილვა.
2. ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის **გიორგი მამფორიას** განცხადების განხილვა.
3. ბუდაპეშტის ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის **მარიამ ბულიას** განცხადების განხილვა.
4. ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის **ილია ჭანტურიას** განცხადების განხილვა.
5. ვენის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ერთწლიან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის **სალომე შონიას** განცხადების განხილვა.
6. უნგრეთი, ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტის სტუდენტის **ნინო კვეკვესქირის** განცხადების განხილვა.

მუხლი 7. არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა

7. იაპონია, ცუკუბას უნივერსიტეტის სოციალურ და საერთაშორისო ურთიერთობების პროგარმის სტუდენტის **სესილი ჩიქავას** განცხადების განხილვა (ტოკიოში მგზავრობის დაფინანსება, წარმოდგენილია ინვოისი 1892 ლარის).

8. ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესში ცვლილების შეტანა-განხილვა.

სხდომის თავმჯდომარე:

- **კონსტანტინე კაკავა**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის -პირველი მოადგილე; - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **იდა ქვარაია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.
- **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრლებელი-კომისიის წევრი;
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

• **მაგდალინა თოდუა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

მომხსენებელმა ზაზა გაბისონია კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

კომისიის წევრმა მამუკა ბულიამ აღნიშნა რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მარიამ ბულიას და ილია ჭანტურიას განცხადებების განხილვაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ვინაიდან აღნიშნული პიროვნებები არიან მისი ოჯახის წევრები.

პირველ საკითხად მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის წინადადება ნინო გვალიას განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ნინო ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტია თავისი მიღწევებით და წარმატებებით. მუდამ აქტიურად არის ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში. მე მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

მეორე საკითხად მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის წინადადება სესილი ჩიქავას განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ბელა ხუბუა- სესილი ჩიქავა იაპონიის ცუკუბას უნივერსიტეტში ჩარიცხულია როგორც გაცვლითი პროგრამის სტუდენტი. მას სჭირდება მგზავრობის თანხის დაფინანსება. მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

მესამე საკითხად მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის წინადადება გიორგი მამფორიას განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ზამირა ღადუა- გიორგი მამფორია ორ წლიანი სამაგისტრო პროგრამის წარმატებული სტუდენტია. ის ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საამაყო ახალგაზრდაა.

მეოთხე საკითხად მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის წინადადება მარიამ ბულიას განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ზაზა გაბისონია- მარიამი უნგრეთის, ბუდაპეშტის ტექნოლოგიების და ეკონომიკის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტია. მარიამის სახით გვეყოლება მომავალი წარმატებული არქიტექტორი.

მეხუთე საკითხად მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის წინადადება ილია ჭანტურიას განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ია ეხვაია- ილია ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტია. ის წარმატებული ახალგაზრდაა და მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

მეექვსე საკითხად მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის წინადადება სალომე შონიას განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ზამირა ღადუა- სალომე ვენის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ერთწლიან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტია. მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

მეშვიდე საკითხად მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის წინადადება ნინო კვეკვესქირის განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ნინოს ვიცნობთ როგორც ნიჭიერ და წარმატებულ ახალგაზრდას. ამჟამად სწავლობს ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების ფაკულტეტის სამწლიან პროგრამაზე. მე მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

მერვე საკითხად მოისმინეს: ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესში ცვლილების შეტანა.

მოისმინეს იდა ქვარაიას წინადადება წესში ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.

კომისის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია განხორციელდეს ცვლილება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში. კერძოდ: მუხლი 6. და 6.1; 6.2; 6.3; ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მუხლი. 6 ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა;

ქვეპუნქტი 6.1; ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტებისთვის ფინანსურ ხელშეწყობას;

✓ ქვეპროგრამით სტუდენტის დაფინანსება განისაზღვრება **სემესტრულად, თითოეული სემესტრი** - არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარით;

✓ ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა განხორციელდება სტუდენტის პირად საბანკო ანგარიშზე;

6.2 ქვეპროგრამით ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

- განცხადება მერის სახელზე;
- **უცხოეთის სასწავლებელში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
- პასპორტის ასლი;
- განახლებული საინფორმაციო ბარათი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან/დევნილის შემთხვევაში ცნობა რეგისტრაციის შესახებ;
- სამოტივაციო წერილი;
- პირადი საბანკო რეკვიზიტები ბანკიდან (ბეჭდით დამოწმებული);

ღია კენჭისყრაზე წარმოდგენილ წინანადადებას მხარი დაუჭირა სხდომის დამსწრე ყველა წევრმა.

გადაწყვეტილება:

1. ნინო გვალიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.
2. სესილი ჩიქავას მგზავრობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1892.90 (ათას რვაასოთხმოცდათორმეტი და 90 თეთრი) ლარი.
3. გიორგი მამფორიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.
4. მარიამ ბულიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.
5. ილია ჭანტურია ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.

6. სალომე შონიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.
7. ნინო კვეკვესქირს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.
8. შეტანილ იქნეს ცვლილება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესში, კერძოდ: მე-6 მუხლის 6.1 და 6.2 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და დამტკიცდეს თანდართული სახით. (დანართი N1)

სხდომა დასრულებულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

ზაზა გაბისონია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

იდა ქვარაია

მონიკა შამათავა

კომისიის წევრები:

ია ეხვაია

ზამირა ღადუა

კობა ჯიქია

ნათია ფიფია

მდივანი: ბელა ხუბუა

მამუკა ბულია